წერილის ნომერი:**01-124233636**
თარიღი: **29/12/2023**

ადრესატი:

გიორგი წიკლაური
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტტის მერს

ბატონ გიორგი წიკლაურს

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების 2023 წლის ანგარიში, „2023 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი, დევნილი და ეკომიგრანტი)ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა“ დამტკიცდა დახმარების ოთხი სახე:

ა)სიღატაკეში ან/და სხვა ტიპის კრიზისული მდგომარეობაში მყოფი ბავშვების და ბავშვიანი ოჯახების უსაფრთხოებისა და ბაზისური პირობების გაუმჯობესების მიზნით ფულადი დახმარების გაცემა კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარისა;

ბ) სოციალურად დაუცველი, მცირეწლოვანი (18 წლამდე ასაკის) ბავშვიანი ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 30 000) დახმარებას, ბავშვის აღზრდისათვის კრიტიკულად საჭირო ჰიგიენური საშუალებებით, ყოველთვიურად 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

გ) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, ფიზიკური პათოლოგიის მქონე 18 წლამდე ასაკის მოზარდის შემდგომი განვითარებისათვის, მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო პროცედურების დაფინანსება (ეტაპების მიხედვით),კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა;

დ) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის ნეიროფსიქოლოგიური (გარდა აუტიზმისა), ენისა და მეტყველების, ქცევის, აკადემიური, ოკუპაციური, სენსორული ინტეგრაციის დარღვევებისა და

ფსიქოთერაპიული კურსის დაფინანსება;

წლის განმავლობაში ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სპეციალისტებმა იმუშავეს 100 ოჯახზე, და აქედან მატერიალური დახმარება გაეწია 64 ოჯახს

(ა) პროგრამით ისარგებლა 30 ოჯახმა;

(ბ) პროგრამით ისარგებლა 10 ოჯახმა;

(გ) პროგრამით ისარგებლა 16 ოჯახმა;

(დ) პროგრამით ისარგებლა 6 ოჯახმა;

ნანა ფილიევი-აფციაური

ადმინისტრაციული სამსახური-ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება-განყოფილების უფროსი